



ჯამის და მეწიველები

საერთაშორისო სასწავლო კონფერენცია

სასწავლო კონფერენცია

კალმის მასწავლებლები

კონფერენცია ეძღვნება „დედა ენის“ პირველი გამოცემის
150 წლის იუბილეს

პროექტის აქტუალობა და კონტექსტი:

ქართულ კალიგრაფიულ ხელოვნებას თხუთმეტსაუკუნოვანი უწყვეტი ტრადიცია აქვს. ადრეული შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, სამონასტრო კერები იყო ძლიერი კალიგრაფიული სკოლებიცა და განათლების ცენტრებიც.

სწორედ ეს მემკვიდრეობა იქცა იაკობ გოგებაშვილის მასაზრდოებლად. 150 წლის წინ, 1876 წელს, დაიბეჭდა „დედა ენის“ პირველი გამოცემა, რომელიც ჩვენი სულიერი თუ ინტელექტუალური ბაზისის ტრიადაში შედის: ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“ და „დედა ენა“...

„დედა ენის“ საშუალებით ქართული ანბანი და ლამაზი კალიგრაფია შევიდა ყველა ოჯახში, ყველა სკოლაში...

დღეისათვის, **კალიგრაფიის ხელოვნება არ არის მხოლოდ ესთეტიკა – ის იქცა სწავლა-სწავლების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად**, რომელიც ეხმარება მასწავლებელს საგნების ინტეგრაციაში, პროექტებით სწავლებასა და მოსწავლეთა შემოქმედებითი განვითარების უზრუნველყოფაში.

კონფერენციის „კალმის მასწავლებლები“ ორგანიზების საფუძვლად იქცა პროექტი „ქართული კალიგრაფიის ონლაინტრენინგკურსი მასწავლებლებისათვის“. პროექტმა გააერთიანა კალმის ხელოვნებით დაინტერესებული 50-მდე მასწავლებელი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე, ევროპის ქვეყნებიდან.

ორგანიზატორები:

- საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია
- კავკასიის უნივერსიტეტი

მხარდამჭერები:

- სულაკაურის გამომცემლობა
- პლატფორმა „სამასწავლებლო“





პროექტის მიზნები:

- „დედა ენის“ პირველი გამოცემიდან 150 წლის - საიუბილეო თარიღის აღნიშვნა;
- თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული კალიგრაფიის ხელოვნების პოპულარიზაცია სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში;
- სასკოლო და საუნივერსიტეტო პედაგოგიური ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა;
- არსებული ცოდნისა და გამოცდილების სისტემურად კვლევა და დანერგვა;
- კალიგრაფიის ხელოვნების თავგადასავლის სწავლა-სწავლების პროცესში აქტიური და მრავალფეროვანი ინტეგრაცია.

პროექტის საგნობრივი და გეოგრაფიული მრავალფეროვნება:

- **საგნობრივი მრავალფეროვნება:** მონაწილეობდნენ როგორც ჰუმანიტარული, ისე ზუსტი მეცნიერებების, ხელოვნებისა და სპორტის (ჭადრაკი) პედაგოგები.
- **გეოგრაფია:** ტრენინგურსი გაიარა 30-ზე მეტმა პედაგოგმა საქართველოს ყველა კუთხიდან; პროექტს შეუერთდნენ ქართული საკვირაო სკოლების მასწავლებლები ევროპის **5 ქვეყნიდან** (ესპანეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, ირლანდია).

დამატებითი აქტივობები:

- **ონლაინპლატფორმა:** სოციალურ ქსელში შეიქმნება სივრცე „კალმის მასწავლებლები“.
- **ელექტრონული ალბომი:** მომზადდება საუკეთესო კალიგრაფიული ნამუშევრების კრებული.
- **პრაქტიკული ნაწილი:** კონფერენციის ფარგლებში ჩატარდება თემატური მასტერკლასები და გამოფენა.





კონფერენციაში მონაწილეობის პირობები:

სამიზნე ჯგუფი:

- მასწავლებლები, რომელთაც გავლილი აქვთ კალიგრაფიის სერტიფიცირებული კურსი;
- პროფესიონალი კალიგრაფები;
- კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების სტუდენტები.

საკონფერენციო თემატიკა (ნიმუშები):

- კალიგრაფიული რესურსის შექმნა და გამოყენება გაკვეთილზე;
- თეორიულ-პრაქტიკული კვლევები თანამედროვე მეთოდოლოგიით;
- კალიგრაფიის ხელოვნების სწავლების შესაბამისობა საგნობრივ სტანდარტებთან და სხვა საბაზისო დოკუმენტებთან;
- მასწავლებელი და მოსწავლე: ერთობლივი შემოქმედებითი პროექტები.

1 - 31 მარტი

თემების სათაურებისა და ანოტაციების მიღება. გამოგზავნეთ ელმისამართზე:

kalmismastsavleblebi.2026@gmail.com

1 - 15 მაისი

მონაწილეთა საბოლოო შერჩევა და შედეგის შეტყობინება.

6 - ივნისი

კონფერენციის ჩატარება (ჰიბრიდული ფორმატით).

საკონტაქტო ინფორმაცია

+995 599 899 635

+995 593 255 255